

როსტომ ჩხეიძე

Rostom Chkheidze

თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
TSU Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

პოლიტიკური პამფლეტი: ასწლიანი ზეიმის პროტესტად
(დავიწყებიდან გამოხმობა მიხეილ ხელთუფლიშვილისა)

Political Pamphlet: A Protest Against the Centenary Celebration
(*An Echo from Oblivion – Mikheil Kheltuplishvili*)

DOI: <https://doi.org/10.62119/lr.45.2025.10035>

In 1901, a political pamphlet titled “*The Incorporation of Georgia into the Russian Empire*” was published in Kutaisi in the Russian language – as a sharp protest against the pompous celebration of what was called the “*union*” of Georgia with Russia – in reality, the centenary of its occupation.


For the first time, and with considerable depth, the pamphlet examined both the *Treaty of Georgievsk* concluded during the reign of King Erekle II, and the *Articles of Petition* submitted by King George XII, boldly asserting that neither the first nor the second document envisaged the complete abolition of Georgian statehood or Georgia’s incorporation into the Russian Empire as a territorial unit or southern province – actions through which Russia would even go so far as to abolish the autocephaly of the Georgian Church.

By that time, the author – scholar, politician, and chairman of the *League for the Freedom of Georgia*, Mikheil Kheltuplishvili – had already passed away. Later, Ivane Javakhishvili would highly value his work and reinforce its legal assessments with additional arguments, yet the name of Mikheil Kheltuplishvili would gradually fade into obscurity.

Now, its Georgian version has been published, translated by Miranda Tkeshelashvili, with an extensive biographical essay and commentary by Dodo Chumburidze – in a sense, bringing Mikheil Kheltuplishvili closer to Solomon Dodashvili, thereby fully illuminating the personal virtues and scholarly-political contributions of the young scholar who passed away at the age of twenty-six.

საკვანძო სიტყვები: მიხეილ ხელთუფლიშვილი, „გეორგიევსკის ტრაქტატი“, „საქართველოს თავისუფლების ლიგა“, საქართველო-რუსეთის ურთიერთობა

Keywords: Mikheil Kheltuplishvili, Treaty of Georgievsk, League for the Freedom of Georgia, Georgian-Russian relations



დავიწყებული მეცნიერი და რუსეთის იმპერიის მიერ დაპყრობილ ხალხთა გათავისუფლებისათვის მებრძოლი – ასე მოიხსენიებოდა მიხეილ ხელთუფლიშვილი, რომლის ისტორიული ნარკვევიც, დაწერილი რუსულ ენაზე და გამოქვეყნებული „იურიდიკესკი ვესტნიკის“ 1891 წლის მეშვიდე-მერვე ნომრებში:

„საქართველოს შესვლა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში“, –

ცალკე წიგნად უნდა დაბეჭდილიყო 1901 წელს, ქუთაისში, როგორც მკაცრი პროტესტი იმ ზარზეიმისა, როგორც უნდა აღნიშნულიყო რუსეთთან საქართველოს „შეერთების“ – სინამდვილეში: ოკუპაციის ასი წლისთავი.

ნაშრომში საერთაშორისო სამართლებრივი კუთხით პირველად უნდა განხილულიყო ის ორი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი:

ერეკლე მეორის მეფობაში შედგენილი „გეორგიევსკის ტრაქტატი“ და გიორგი მეთორმეტის „სათხოვარი პუნქტები“, –

და გაბედულად წარმოჩენილიყო, რომ:

არამცთუ პირველი, არამედ მეორე დოკუმენტიც კი არ ითვალისწინებდა ქართული სახელმწიფოებრიობის სრულ გაუქმებასა და რუსეთის იმპერიაში საქართველოს შესვლას ტერიტორიულ ერთეულად თუ სამხრეთ პროვინციად, რასაც რუსეთი მოიმოქმედებდა.

ამ დროისათვის 26 წლის სწავლული უკვე გარდაცვლილი გახლდათ, მაგრამ ამ მრავალმხრივ მნიშვნელოვან პოლიტიკურ პამფლეტს

ხომ დაგვიტოვებდა, სახეში მიხლილს მოზეიმეთათვის, ამ ნაშრომის მთავარი ღირსება ივანე ჯავახიშვილს რომ უნდა წარმოეჩინა 1919 წელს გამოცემულ წიგნში:

„დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში“, –

და დამატებითი არგუმენტებით განემტკიცებინა მიხეილ ხელთუფლიშვილის სამართლებრივი შეფასებანი.

იმედს გამოთქვამდა, ეს ისტორიული ნარკვევი ქართულადაც რომ გამოიცემოდა, თუმც საბჭოთა ეპოქაში გამოცემა კი არა, სულ მიაყრუებდნენ სახელს იმ კაცისა, ვინც გარდა სამეცნიერო მოღვაწეობისა, გახლდათ:

თავმჯდომარე პირველი ახალგაზრდული ეროვნულ-რევოლუციური ორგანიზაციისა – „საქართველოს თავისუფლების ლიგა“ – რომელიც მიზნად ისახავდა არამართო ჩვენი სამშობლოს, არამედ მთელი კავკასიის ხალხთა გამოხსნას რუსეთის კოლონიური უღლისაგან.

ეს ნაშრომი პირველად უნდა თარგმნილიყო 2016 წელს – გადმოაქართულებდა მირანდა ტყეშელაშვილი – და დოდო ჭუმბურიძეს უნდა მოემზადებინა მისი პუბლიკაცია წიგნში:

„საქართველო-რუსეთის ურთიერთობა XVIII-XX საუკუნეებში“, – და გამოცემის ტირაჟის სიმცირე და მიხეილ ხელთუფლიშვილის ბიოგრაფიის სრულად შესწავლის სურვილი უკარნახებდა დოდო ჭუმბურიძეს ამ პოლიტიკური პამფლეტის ცალკე წიგნად გამოცემას საფუძვლიანი ბიოგრაფიული ნარკვევით, ბიბლიოგრაფიული შენიშვნებითა და განმარტებებით, გარდა რუსული და ქართული ტექსტებისა, ინგლისური ვერსიაც რომ დაიბეჭდებოდა, მაია გვიტიძის მიერ შესრულებული.

წიგნი მომზადდებოდა საქართველოს უნივერსიტეტის თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტში (საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2024).

დოდო ჭუმბურიძეს, ისტორიული პორტრეტების ჩინებული სერიის ავტორს, კიდევ ერთი კოლორიტული და რელიეფური პორტრეტი უნდა შეემატებინა თავისი სერიისათვის, ჩვეული სკრუპულოზურობით რომ უნდა მოეძიებინა და მარცვალ-მარცვალ აეკინძა სამეცნიერო ლიტერატურაში, პერიოდიკასა თუ სხვადასხვა წყაროებში გაბნეული ცნობები და ექცია არამართო ერთი ღირსეული პიროვნების დრამატული ცხოვრების ქარგად, არამედ ეპოქის სურათადაც.

გარდა ამ ისტორიული ნარკვევისა, ლიტერატურული წერილიც უნდა გამოექვეყნებინა ახალგაზრდა სწავლულს „ივერიის“ ფურცლებზე ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივის“ შესახებ, დიდად რომ დააფასებდა ილიას, როგორც პროზაიკოსს, საქებარ სიტყვებთან ერთად არც კრიტიკულ მოსაზრებებს რომ არ მოერიდებოდა, ილია, თავის მხრივ, ზოგიერთ აღმატებულ ეპიტეტს რომ ამოაღებინებდა, თავმდაბლობით გადამეტებულ ხოტბად რომ მოეჩვენებოდა.

დაპატიმრებას ვერ გადაურჩებოდა მიხეილ ხელთუფლიშვილი, როგორც „ლიგელი“, ჭლექი ციხეში კიდევ უფრო რომ გაუმწვავდებოდა და... იქიდან ველარც გამოაღწევდა.

როგორც „ივერია“, ასევე „კვალი“ გამოაქვეყნებდნენ ნეკროლოგს, – ერთის ავტორი გიორგი ლასხიშვილი რომ იქნებოდა და მეორისა – გიორგი წერეთელი – ამ ისტორიული ნარკვევის ღირსება და მნიშვნელობა კი ასე აღინიშნებოდა:

თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ ამ საგნის შესახებ ამ თხზულებაზედ უფრო სერიოზული გამოკვლევა ჯერ არ დაბეჭდილაო, – მაგრამ ცენზურის მოთხოვნების გათვალისწინებით:

არც პოლიტიკური მოღვაწეობა მოიხსენიებოდა მისი, არც პატიმრობა, არც ციხის საკანში გარდაცვალება და არც ის გარემოება, ჭლექზე არანაკლებ პოლიტიკური რეჟიმის სისასტიკეს რომ ემსხვერპლებოდა.

„საქართველოს თავისუფლების ლიგა“ პირველ კონგრესს რომ გამართავდა ქუთაისში, იოსებ ჩარექიშვილის ბინაზე, თეთრი ხიდის მახლობლად, სხდომის მიწურულს ვიდაცას უნდა ეთქვა:

მიხეილ ხელთუფლიშვილს ძლიერ უნდა ჩვენს სხდომაზე დასწრება, თუნდ უბრალო მაყურებლადაც. ამასთან საკონგრესო ბინად გვთავაზობს თავის სახლს, დიდი ბაღით გარშემორტყმულსა და დაცულს ზედმეტი ცნობისმოყვარეობის თვალისა და ყურისაგანო.

მიხეილის დასწრებას ფარულ თავყრილობებზე ყველა დიდი სიხარულით უნდა შეხვედროდა, თანაც დაეშვათ არა მაყურებლად, არამედ სრულუფლებიან წევრად, და კიდევ რომ გადაინაცვლებდნენ მის ბინაზე, თვით მიხეილი კონგრესის თავმჯდომარედ ერთხმად უნდა აერჩიათ.

ეს ამბავი ივანე ზურაბიშვილს უნდა გაეხსენებინა პარიზში გამომცემულ მოგონებათა ფარულში:

„კარგ ქართველთა ხსოვნისათვის“, –

და ცოცხლად წარმოესახა ყველასათვის საყვარელი, თვალებანთებული, სახეწამოწითლებული, აღტაცებული მიშა, ცეცხლი რომ

შეჰქონდა კამათში და იმავდროს იშვიათი თავაზიანობით აბრუნებდა მჭევრმეტყველებით გატაცებულ ორატორს საკითხის ფარგლებში.

რა მორიდებით ეკიდებოდა ზოგჯერ მეტად გულუბრყვილო და მეტად სადად გამოთქმულ აზრსაც, როგორი პატივისცემით ეპყრობოდა საზოგადოდ სხვის შეხედულებას და რა სიამოვნება ეხატებოდა სახეზე, როდესაც რაიმე თავისებური, ორიგინალური მოსაზრება გამოითქმოდა.

და ეს იმისდამიუხედავად:

იზიარებდა ამ შეხედულებას თუ არა.

კონგრესი ჩინებულად რომ ჩატარდებოდა, მიხეილ ხელთუფლიშვილის ორგანიზატორული უნარის წყალობითაც; და მდივნებს რომ დაევალებოდათ ამ პირველი კონგრესის ოქმების დალაგება და გასაცნობად გაგზავნა სხვადასხვა უნივერსიტეტის ქართული სტუდენტური წრეებისათვის, ეს გადაწყვეტილება უბედური უნდა გამომდგარიყო, მოსკოვიდან ვარშავაში გადაგზავნისას ოქმები ჟანდარმერიას რომ ჩაუვარდებოდა ხელთ და... კიდევ დაიწყებოდა საბედისწერო გამოძიება...

ივანე ზურაბიშვილისათვის უცნობი დარჩენილა ის გამცემლური როლი, რაც უნდა შეესრულებინა ფილიპე მახარაძეს.

ოქმებიც იმიტომ უნდა ჩაეგდოთ ხელთ, განსაკუთრებით გაფაციცებულიყვნენ მას შემდეგ, რაც დამსმენისაგან „ლიგის“ არსებობას შეიტყობდნენ.

უცნობი დარჩენილა ის გარემოებაც, რაც დოდო ჭუმბურიძეს უნდა დაეზუსტებინა:

1891 წელს მიხეილ ხელთუფლიშვილი ჯერაც მოსკოვში იმყოფებოდა და დაწერილიც და დაბეჭდილიც ექნებოდა თავისი ისტორიული ნარკვევი. და მართლაც შეუძლებელი უნდა იყოს, როგორც თვისტომ სტუდენტთა შორის გამორჩეული და უნივერსიტეტშიც კარგად ცნობილი ახალგაზრდა იმთავითვე არ ჩაბმულიყო ფარული წრის საქმიანობაში და, არამცთუ არ სცოდნოდა ქუთაისში გამართული კონგრესისა თუ ყრილობის თაობაზე, არამედ ერთი მთავარი ინიციატორიც სწორედ იგი არ ყოფილიყო.

მისი თავმჯდომარეობაც სხდომებისა ამით უნდა გამოწვეულიყო.

და „საქართველოს თავისუფლების ლიგის“ პროგრამა-წესდების შედგენა გიორგი გვაზავას რომ მიეწერებოდა, სინამდვილეში მას უნდა შეედგინა ძირითადი თეზისური მონახაზი, ხოლო სრული ტექსტის მომზადებაში სხვანიც რომ იქნებოდნენ ჩარეულნი და შესაფერი-

სი ცვლილებებიც შევიდოდა, მათ შორის მოსალოდნელია მიხეილიც გარეულიყო.

თავისი ნიჭით, ცოდნით, შრომისმოყვარეობით, ცხოვრების წესითა და ბედისწერით მიხეილ ხელთუფლიშვილი დოღო ჭუმბურიძეს უნდა მიემსგავსებინა XIX საუკუნის დასაწყისის მეორე დიდი ქართველისათვის – სოლომონ დოდაშვილისათვის:

ორივეს 21 წლისას დაეწერა უმნიშვნელოვანესი თხზულება – ერთს სადიპლომოდ და მეორეს – სამაგისტროდ.

ორივეს გამორჩეული როლი უნდა ეთამაშა ქართველი ხალხის გამათავისუფლებელ მოძრაობაში.

ორივე უნდა გამხდარიყო რუსული რეჟიმის მიზანმიმართული მსხვერპლი:

ერთი 31 წლისა დაღუპულიყო, მეორე კი - 26 წლისა.

რეჟიმს ორივე შემთხვევაში ყველაფერი უნდა ეღონა, რათა მისთვის მიუღებელი ეს ადამიანები „ავი სენის“ მსხვერპლად წარმოჩენილიყვნენ და არა ხელისუფლების ანტიჰუმანური ავი პოლიტიკისა.

ივანე ჯავახიშვილს დანაშაულებით უნდა აღენიშნა, რომ:

რუსეთში არსებული პოლიტიკური და საცენზურო პირობების სიმკაცრის გამოისობით არც მიხეილ ხელთუფლიშვილსა და არც ზურაბ ავალიშვილს არ შეეძლებოდათ ისტორიული სიმართლის სრული სინამდვილითა და გულახდილობით გამოთქმა, –

თუმც ერთის ნაშრომსაც და მეორისასაც თავის დროზე განსაკუთრებული გავლენა უნდა მოეხდინა საზოგადოებრივ ცნობიერებაზე, და პოსტსაბჭოთა ხანაში ზურაბ ავალიშვილის „საქართველოს შეერთება რუსეთთან“ აქტიურად რომ შემოვიდოდა ისტორიკოსთა ნაშრომებში, მიხეილ ხელთუფლიშვილი კიდევ კარგა ხანს უნდა დარჩენილიყო მიჩქმალული, ვიდრე მისი დროც დადგებოდა:

ასე სრულფასოვნად.

ასე რელიეფურად.

ასეთი სისრულითა და კოლორიტულობით.

ამ წიგნს – „საქართველოს შესვლა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში“ – თავისი სამეცნიერო აპარატით ხელშესახებად რომ უნდა ამოევსო ჩვენი ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის არასრულად ცნობილი ფურცლებიც და ჩვენი პოლიტიკური და სამეცნიერო გაღერეაც – აწ უკვე დამშვენებული მიხეილ ხელთუფლიშვილის სახელითაც.

* * *

სოლომონ დოდაშვილობას თუ ვერ იქმოდა ნაადრევი აღსასრულის გამო, გარეგნული ნიშნებით ხომ მაინც უნდა დამსგავსებოდა თავის დიდ წინამორბედს...